5

პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585
1979/2

(57)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (461)

1979 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (461) ივნისი 1979 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

162. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის განხილვისას საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიისა და დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებების და შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ.

163. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისიის ინფორმაციის თაობაზე.

164. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების და ბავშვთა საავადმყოფოების მშენებლობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ინფორმაციის თაობაზე.

165. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის სახელზე შემოსული წინადადებების. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესახებ

166. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის საკითხების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. გამხარაშვილის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

168. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

169. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ბ. ვ. შინკუბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

170. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ვ. ო. კობახიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

171. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ გ. დ. გაბუნიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

172. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ბ. თ. ლობჟანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

173. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ.

174. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

175. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ.

176. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

177. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ.

178. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოს სსრ მეჩვიდმეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

179. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

180. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

181. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ გ. დ. გაბუნიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

182. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

183. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ შ. მ. ეცადაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

184. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ თ. ნ. მენთეშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

185. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ნ. დ. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

186. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ რ. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

187. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ რ. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი ასაბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

188. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ მ. მ. ხანანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

189. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

190. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

191. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

განკოფილება მეორე

192. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

193. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის მანქანათმშენებელი საწარმოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

194. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

195. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. გ. კაკაურიძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

196. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. პ. ჩიქოვანისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

197. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

198. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

199. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. გვაზავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. მინდელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

201. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. წულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

202. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. ბერძენიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

203. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. მ. ჯემუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

204. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. კ. ბალავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

205. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. კულჯანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

206. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. შ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

207. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა. სარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

განკოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის განხილვისას საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიისა და დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებების და შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ნ. ა. ჭითანავას ინფორმაცია რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ საკითხების განხილვისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათვის მიცემულ დავალებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დიდი მუშაობა გასწია საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმასა და ბიუჯეტთან დაკავშირებით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის დასკვნაში მოცემული წინადადებების და შენიშვნების, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების სარეალიზაციოდ.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განაგრძოს მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებების განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 **საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისიის ინფორმაციის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისიის ინფორმაცია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

2. ამ საკითხზე მუდმივი კომისიის რეკომენდაციები სათანადო რეაგირებისათვის გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 **რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების და ბავშვთა საავადმყოფოების მშენებლობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ინფორმაციის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ინფორმაცია რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისა და ბავშვთა საავადმყოფოების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ და განცხადება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული საკითხი განხილულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ და დასახულია საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

165 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის სახელზე შემოსული წინადადებების, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის სახელზე შემოსული წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე მშრომელთა განცხადებები და საჩივრები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს და დაევალოს მათ განხილვის შედეგები აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის საკითხების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** მეცხრე მოწვევის XI სესიის დღის წესრიგში შესატანად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს გადაეცეს შემდეგი საკითხები:

1) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის არჩევისა და პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. პ. გილაშვილი);

2) 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ .

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მომხსენებელი — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. პატარიძე**);

3) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების თაობაზე საქართველოს სსრ კანონების შესახებ.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. პ. გილაშვილი);

4) ინფორმაცია მეათე და მეთერთმეტე სესიებს შორის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. თ. ლაშქარაშვილი).

II. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინოს საქართველოს სსრ კანონებისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილებების შემდეგი პროექტები:

საქართველოს სსრ კანონების პროექტები:

1) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ;

2) საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ;

3) საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე;

4) „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

5) „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებების პროექტები:

1) 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ;

2) საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

3) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ;

4) საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მეჩვიდმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

III. მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეთერთმეტე სესიის მუშაობის წესის შესახებ.

IV. უხუცესთა საბჭოს სხდომა მეთერთმეტე სესიის ორგანიზაციულ საკითხებზე მოწვეულ იქნეს 1979 წლის 15 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 ამხ. ა. გ. გამხარაშვილის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ანატოლი გიორგის ძე **გამხარაშვილი** საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 18 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

168 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის მდივნად მიხეილ მიხეილის ძე **ბუნტური** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის რეფერენტი-იურისტი.

დამტკიცდნენ ამ კომისიის წევრებად:

დავით ვალერიანის ძე როგავა — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ომარ შალვას ძე ხიზანიშვილი — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე;

მამუკა ალექსანდრეს ძე ასლანიკაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

განთავისუფლებულ იქნენ ამ კომისიის მდივნის მოვალეობისაგან—**ვლადიმერ ვასილის ძე პაპიტაშვილი**, ხოლო კომისიის წევრების მოვალეობისაგან — **სერგო ტარასის ძე რიგვავა**, ოთარ ირაკლის ძე **მენაბდე** და **ალექსანდრე ილიას ძე ბუაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 29 ივნისი.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

169 დეპუტატ ბ. ვ. შინკუბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი **ბაგრატ ვასილის ძე შინკუბა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

170 დეპუტატ ვ. ო. კოგანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ვალერიან ოსმანის ძე **კობახია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

171 დეპუტატ გ. დ. გაგუნიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი გურამ დიმიტრის ძე **გაგუნია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

172 დეპუტატ გ. თ. ლოგჟანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატ ბახვა თევდორეს ძე **ლობჟანიძე** საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნასთან დაკავშირებით განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

173 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესია, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. პატარიძის მოხსენება „1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ“, აღნიშნავს, რომ მოზარდი თაობის აღზრდასა და ჯანმრთელობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად რესპუბლიკაში წარმატებით სრულდება სკოლამდელი საზოგადოებრივი აღზრდის განვითარების პროგრამა; ფართოვდება ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი, მტკიცდება მათი სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღლდება აღმზრდელობითი მუშაობისა და მომსახურების დონე, უმჯობესდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის მაჩვენებელი. 1971-1978 წლებში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით რესპუბლიკაში 41.883 ბავშვისათვის აშენდა სკოლამდელი დაწესებულებები, მათ შორის სოფლად — 13.309 ბავშვისათვის. ამჟამად რესპუბლიკაში 2.103 სკოლამდელი დაწესებულებაა 160.907 ბავშვისათვის.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საგრძნობლად გააძლიერეს ყურადღება სკოლამდელი დაწესებუ-

ლებების საქმიანობისადმი, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობის საქმეში ფართოდ მონაწილეობენ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო-ებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს ბავშვთა სკოლამდელი აღ-ზრდის დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამედიცინო მომ-სახურების საქმის უკეთ წარმართვისათვის. საგრძნობლად გაუმჯობესდა ბავ-შვთა ფიზიკური განვითარება, შემცირდა ავადობის მაჩვენებელი; მეტი ყუ-რადღება ექცევა ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მაღალკვალიფიცი-ური კადრებით დაკომპლექტებას, ამაღლდა პედაგოგ-აღმზრდელოა მომზადების დონე, გაფართოვდა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ქსელი, განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეიქმნა სათანადო მეთოდუ-რი გაერთიანებები და საბაზო დაწესებულებები.

უკანასკნელ წლებში ფართოდ გაიშალა საშეფო მუშაობა. ამ მხრივ აღ-სანიშნავია საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, რესპუბლიკის უსინა-თლოთა საზოგადოების, ქ. თბილისის ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის ქარხნისა და სხვა შეფი ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინოებითა და სათამაშოებით უზრუნველყოფაში.

ამასთან ერთად სესია აღნიშნავს, რომ სკოლამდელი აღზრდის საქმეში ბე-ვრია გადაუჭრელი საკითხი, სერიოზული ნაკლოვანებები. რესპუბლიკის სკო-ლამდელი დაწესებულებების ქსელი და მისი გაფართოების ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას, რაც საგრძნობლად უშლის ხელს როგორც ბავშვთა საზოგადოებრივ აღზრდასა და სკოლისათვის მათ მო-მზადებას, ისე ქალთა აქტიურად ჩაბმას შრომითს საქმიანობაში.

საგეგმო ორგანოები და საპროექტო ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები მთელი რიგი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების კომპლექსის მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-გაფართოების დროს ხშირად არ ითვალისწინებენ სკოლამდელი დაწესებულებების მშენებ-ლობას

ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციის, სახა-ლხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულე-ბების საკითხებისადმი უყურადღებობის გამო რესპუბლიკის მთელი რიგი ქა-ლაქები და რაიონები ამ დაწესებულებების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. ამის გამო სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვთაგან ამ დაწესებულებებში დადის მხო-ლოდ 160.907 ბავშვი, იმ დროს, როდესაც იგივე მაჩვენებელი საკავშირო მას-შტაბით 41 პროცენტს აღწევს.

არ შესრულდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობის მეათე ხუთწლედის სამი წლის გეგმა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამი-ნისტრომ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის მიმდინარე

წლის ხუთი თვის გეგმა მხოლოდ 97 პროცენტით შეასრულა მსუბუქი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ხეტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის, კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროები წლიდან წლამდე ვერ ასრულებენ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმებს. რესპუბლიკის ბაგა-ბაღების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მოთავსებულია უვარგის და შეუფერებელ, ავარიულ ან კერძო პირებისაგან დაქირავებულ შენობებში.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, ორჯონიკიძის, დუშეთის, ცაგერის, მცხეთის და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

არის შემთხვევები, როცა ერთ საალმზრდელო ჯგუფში ჩარიცხულია 50-60 ბავშვი, ნაცვლად ნორმით დაწესებული 25 ბავშვისა. ყოველივე ეს სერიოზულად აფერხებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვას, სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვას, უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ კოლმეურნეობებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის.

ნაკლოვანებებია სკოლამდელი დაწესებულებების ინვენტარით, ავეჯით, სათამაშოებითა და თვალსაჩინო სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის საქმეში. ხარვეზებია ბავშვთა კვების ორგანიზაციაში. ბევრ სკოლამდელ დაწესებულებას აკლია სამზარეულოებისა და სასადილოებისათვის საჭირო ინვენტარი და ტექნიკური მოწყობილობა. კვების პროდუქტებით მომარაგებაში შეინიშნება ერთფეროვნება და შეფერხება, ირღვევა დაწესებული ნორმისა და ასორტიმენტის შესაბამისად ბავშვთა კვება, არის ახალი ბოსტნეულისა და ხილის, რძის ნაწარმისა და ხორცის ნაკლებობის შემთხვევები, გაუმჯობესებას მოითხოვს კვების პროდუქტების შეზიდვის ორგანიზაციისა და ამ დაწესებულებების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის საქმე.

რესპუბლიკის ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საჭირო ყურადღებითა და პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხების დროულად მოგვარებას. სათანადოდ არ აფასებენ სახალხო განათლების ამ რგოლის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ნორჩი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში, არ ახორციელებენ ღონისძიებებს აღნიშნულ დაწესებულებათა ქსელის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება-განმტკიცებისათვის; არადამაკმაყოფილებლად სრულ-

ღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მოთხოვნები, რომლებიც შეეხება სათავსების გამოყოფას მშენებარე შენობების პირველ სართულებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის.

რესპუბლიკის განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის სრულყოფას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად; სუსტად ინერგება მეცნიერული რეკომენდაციები და მოწინავე გამოცდილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, სსრ კავშირის კონსტიტუციის, „საბჭოთა კავშირში ბავშვის საერთაშორისო წლის ჩატარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების და მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნეს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების განვითარების დავალებათა განუხრელი შესრულება, ბაგა-ბაღებში ბავშვთა აღზრდისა და მომსახურების დონის მკვეთრი ამაღლება;

ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და სხვა დარგების მომავალი წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენისას გათვალისწინებულ იქნეს ახალი ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისა და არსებულის გაფართოების დაჩქარებული ტემპი, რათა 1985 წლისათვის რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის დონე გაუთანაბრდეს საშუალო საკავშირო მაჩვენებელს;

ამ მიზნით:

1. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

— სამინისტროებთან, უწყებებთან, მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პერსპექტიული გეგმები თითოეული დასახლებული პუნქტის მიხედვით;

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შენობების გაფართოება-რეკონსტრუქციას მიშენება-დაშენების გზით, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩატარებასა და მათს უზრუნველყოფას ინვენტარითა და ავეჯით; ამასთან ფართოდ გამოიყენონ თანხების კოოპერირების პრაქტიკა;

— უზრუნველყონ საქართველოს სსრ სკოლამდელ დაწესებულებათა მეშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მოთხოვნათა შესრულება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სათავსების გამოყოფას მშენებარე შენობების პირველ სართულებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის;

— განახორციელონ ღონისძიებანი საბავშვო ბაგებისა და ბაღების გაერთიანებულ ბაგა-ბაღებად, ხოლო სადაც ამისათვის საჭირო პირობები არსებობს, — საკოლმეურნეო სეზონური საბავშვო ბაგებისა და ბაღების მუდმივმოქმედ ბაგებად და ბაღებად გარდაქმნისათვის;

— მიიღონ ქმედითი ზომები ახალი ობიექტებისათვის მიწის ნაკვეთების დროულად გამოყოფისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის რემონტისა და რეკონსტრუქციის სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლამდელ დაწესებულებათა დაკომპლექტებას შესაფერისი კადრებით და ნაყოფიერი მუშაობის გასაწევად მათთვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას;

— მკაცრი კონტროლი დააწესონ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისა და საფინანსო დისციპლინის დაცვის საქმესა და განათლების ღონისძიებებზე გამოყოფილი ასიგნების სრულად ათვისებისადმი; განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ბავშვთა კვების გაუმჯობესებისა და საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გაფართოებისათვის; სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მუდმივი აგარაკების ასაშენებლად;

— მიიღონ ზომები, რათა შეფმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააძლიერონ დახმარება ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისადმი;

— საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობის ცალკეული საკითხები და მიიღონ ქმედითი ზომები მათი მუშაობის დონის ასამაღლებლად; ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, რეპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს აღნიშნული დადგენილებით დასახული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ორი ოვის ვადაში შეადგინონ თავიანთი სისტემის სკოლამდელ დაწესებულებათა განვითარე-

ბისა და საკუთარი სახსრებით მათი მშენებლობის პერსპექტიული გეგმები იმ ანგარიშით, რომ სრულად უზრუნველყონ თავიანთ საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავეთა ბავშვები საუწყებო სკოლამდელი დაწესებულებებით; სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მათი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებთან ერთად მიიღოს საჭირო ზომები ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების მიხედვით რაციონალური დისლოკაციის უზრუნველსაყოფად;

— გაუძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლამდელ დაწესებულებებს და სათანადო მეთოდური დახმარება გაუწიოს საუწყებო სკოლამდელ დაწესებულებებს; იზრუნოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და ბავშვთა მომსახურების დონის შემდგომი ამაღლებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოზარდი თაობის ფიზიკური, შრომითი, ზნეობრივი და ინტერნაციონალური აღზრდისათვის მტკიცე საფუძვლის მომზადებას; საქართველოს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობით განაზოგადოს, გაავრცელოს და დანერგოს პედაგოგიური მეცნიერების მიღწევები, მოწინავე დაწესებულებებისა და მუშაკების მუშაობის დადებითი გამოცდილება;

— კადრების შემადგენლობის თვისებრივი სრულყოფის მიზნით ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუშაკების გადამზადებისა და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად; უზრუნველყოს მშობელთა შორის სამედიცინო და პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდის გაძლიერება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

— გადაჭრით გააუმჯობესოს სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი მუშაობა ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში, უზრუნველყოს სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვა; ყველა საბავშვო დაწესებულება, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა, დააკომპლექტოს შესაფერისი სამედიცინო პერსონალით არსებული ნორმატივების შესაბამისად და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ბავშვთა სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებისათვის;

— შეიმუშაოს და მიიღოს საჭირო ზომები მის დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა ბაგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყონ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტებით დაწესებული ნორმებისა და ასორტიმენტის შესაბამისად; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ უზრუნველყოფას ახალი ხილითა და ბოსტნეულით,

რძის ნაწარმითა და ხორცით; მიიღონ ზომები მსხვილ ქალაქებში ბავშვთა კვების სამზარეულო-კომბინატების გახსნისათვის; საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად სრულყონ პროდუქტების ცენტრალიზებული წესით მიწოდების ორგანიზაცია.

6. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინიტროს ინიციატივა მიმდინარე წელს გეგმის გადაჭარბებით 9 სკოლამდელი დაწესებულების საექსპლუატაციოდ გადაცემის შესახებ, დაევალოთ მათ მკვეთრად გააუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი და მომავალ წლებში უზრუნველყონ სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის გეგმების უთუო შესრულება.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ გადაჭრით გააძლიეროს კონტროლი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობის მიმდინარეობისადმი, არ დაუშვას ბაგა-ბაღების მოძველებული პროექტებით მშენებლობა და ამ ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღება მშენებლობის მოელი კომპლექსის დამთავრების გარეშე.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი 1982 წლისათვის სკოლამდელი დაწესებულებებისათვის საჭირო ინვენტარისა და ავეჯის საწარმოს მშენებლობის დასამთავრებლად. უზრუნველყოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება იმ ვარაუდით, რომ დაკმაყოფილოს ყველა უწყების მოთხოვნილება საბავშვო ავეჯსა და ინვენტარზე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სათამაშოების და ეზოებისათვის ბავშვთა ინვენტარის დამზადების ხარისხი და გააფართოოს მათი წარმოება.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყოველწლიური გეგმების შედგენისას გაითვალისწინოს სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და სათანადო კადრების მომზადების აღნიშნული დადგენილებით დასახული პროგრამის უზრუნველყოფა.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მეთერთმეტე ხუთწლედში უზრუნველყოს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების გადიდება ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა გაზრდილი ტემპით მშენებლობისათვის იმ ვარაუდით, რომ 1985 წლისათვის რესპუბლიკაში ამ დაწესებულებებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე გაიზარდოს 50 პროცენტამდე;

— განიხილოს საკითხი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მშენებლობისათვის სპეციალიზებული სამშენებლო ტრესტის შექმნის შესახებ.

* *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, დეპუტატები, ფართო აქტივი ძალას, ენერგიას და შესაძლებლობებს არ დაიშურებენ ვ. ი. ლენინის დევიზის — „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს“ განხორციელებისათვის. ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ჰარმონიულად განვითარებული ჯანსაღი მომავალი თაობის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა აღზრდისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

174 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1959 წლის 26 ნოემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ. № 10, მუხ. 4) საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი და დამტკიცდეს ამ კანონის ახალი რედაქცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი..

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

175 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ

დეპუტატის გაწვევის უფლება, როგორც სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის შედეგად დაწესდა, გამოხატავს საბჭოთა ხალხის სრულუფლებიანობას და უზრუნველყოფს დეპუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

ითვალისწინებს რა ამას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად **ადგენს:**

მუხლი 1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაწვეულ იქნეს ნებისმიერ დროს, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომელიც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

მუხლი 2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, ქალაქის, ქალაქის რაიონული ორგანიზაციების ორგანოების სახით, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს ჯარის ნაწილებში.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, სამხედრო მოსამსახურეთა კრებები ჯარის ნაწილებში, რომლებიც აღძრავენ დეპუტატის გაწვევის საკითხს, ამის შესახებ ატყობინებენ დეპუტატს, ამასთან აცნობენ გაწვევის საკითხის დაყენების მოტივებს

დეპუტატს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კოლექტივებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო გაწვევის საკითხის აღძვრას.

მუხლი 4. გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კოლექტივებისა, რომლებმაც დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრეს, ეგზავნება საქაროველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და გადასცემს მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას.

თუ დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ნიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხს განიხილავენ და წყვეტენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებები, რომლებსაც იწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

მუხლი 6. მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დანიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისათვის, ისევე როგორც საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი აგიტაციის უფლება დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მუხლი 7. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესრულებისადმი თვალყურის სადევნებლად და კენჭისყრის შედეგების განსაზღვრისათვის შესაბამის საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო კომისია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და კომისიის 6-10 წევრის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — შესაბამისად ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. ამომრჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება კრების დრო და ადგილი, კრების დამსწრე ამომრჩეველთა რაოდენობა, დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი სამი დღის ვადაში წარედგინება დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას.

მუხლი 9. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია ამომრჩეველთა კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ოლქში მიცემულ ხმებს და ადგენს გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს.

საოლქო კომისია დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგების ოქმს წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 11. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს არაუგვიანეს ხუთი დღისა კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის შემდეგ აქვეყნებს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

მუხლი 12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის დარღვევის გამო საჩივრებს განიხილავს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

საჩივრებს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის არასწორი მოქმედების გამო განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

176 „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1960 წლის 25 ივნისის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ; № 6, მუხ. 64) საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი და დამტკიცდეს ამ კანონის ახალი რედაქცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

177 საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ

დეპუტატის გაწვევის უფლება, როგორც სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის შედეგად დაწესდა, გამოხატავს საბჭოთა ხალხის სრულუფლებიანობას და უზრუნველყოფს დეპუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

ითვალისწინებს რა ამას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად **ადგენს:**

მუხლი 1. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაწვეულ იქნეს ნებისმიერ დროს, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა, ან ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომელიც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

მუხლი 2. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, ქალაქის, ქალაქის რაიონული ორგანოების სახით, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს ჯარის ნაწილებში.

საკითხი დეპუტატის გაწვევის შესახებ ამომრჩეველთა კრებებზე შეიძლება აღიძრას იმ პირობით, თუ მათში მონაწილეობს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედისა.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, სამხედრო მოსამსახურეთა კრებები, რომლებიც აღძრავენ დეპუტატის გაწვევის საკითხს, ამის შესახებ ატყობინებენ დეპუტატს. ამასთან აცნობენ გაწვევის საკითხის დაყენების მოტივებს.

დეპუტატს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კოლექტივებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად **დაედო** მისი გაწვევის საკითხის აღძვრას.

მუხლი 4. გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კოლექტივებისა, რომლებმაც დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრეს, ეგზავნება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და თუ დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხს განიხილავენ და წყვეტენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებები, რომლებსაც იწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

მუხლი 6. მას შემდეგ, რაც სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისათვის, ისევე როგორც საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი აგიტაციის უფლება დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მუხლი 7. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესრულებისადმი თვალყურის სადევნებლად და კენჭისყრის შედეგების განსაზღვრისათვის შესაბამის საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო კომისია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის 4-8 წევრის შემადგენლობით.

სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. ამომრჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება კრების დრო და ადგილი, კრებებზე დამსწრე ამომრჩეველთა რაოდენობა, დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი სამი დღის ვადაში წარედგინება დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას.

მუხლი 9. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია ამომრჩეველთა კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის დეპუტატის

გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ოლქში მიცემულ ხმებს და არკვევს კენჭისყრის შედეგებს.

საოლქო კომისია დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგების ოქმს წარუდგენს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 10. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 11. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს მისი განსაზღვრის შემდეგ არაუგვიანეს ხუთი დღისა აქვეყნებს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

მუხლი 12. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის დარღვევის გამო საჩივრებს განიხილავს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის არასწორი მოქმედების გამო საჩივრებს განიხილავს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

178 საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოს სსრ მეჩვიდმეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები და საქართველოს სსრ მეჩვიდმეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩატარდეს ერთდროულად, 1980 წლის თებერვალში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

 თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

179 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1979 წლის 9 იანვრისა — „ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1979 წლის 9 იანვრისა — „ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1979 წლის 9 იანვრისა — „ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ“;

1979 წლის 9 იანვრისა — „ამხ. შ. მ. ეცადაშვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“:

1979 წლის 10 იანვრისა — „ამხ. ბ. თ. ლობჟანიძის საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ“;

1979 წლის 10 იანვრისა — „ამხ. გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1979 წლის 10 იანვრისა — „ამხ. ნ. ა. ფოფხაძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1979 წლის 10 იანვრისა — „ამხ. ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1979 წლის 4 აპრილისა — „ამხ. შ. ა. თითბერიძის საქართველოს სსრ ხეტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1979 წლის 10 აპრილისა — „ამხ. ე. მ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1979 წლის 10 აპრილისა —„ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1979 წლის 10 მაისისა — „ამხ. გ. გ. გამყრელიძის საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ“;

1979 წლის 26 მაისისა — „ამხ. კ. ე. კეთილაძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1979 წლის 26 მაისისა — „ამხ. გ. ი. გვეტაძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

180 საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი:

1979 წლის 20 მარტისა — „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“;

1979 წლის 18 აპრილისა — „ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

181 დეპუტატ გ. დ. გაბუნიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი გურამ დიმიტრის ძე **გაბუნია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

182 დეპუტატ ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი სერგო ტარასის ძე **რიგვავა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ

183 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ Შ. Მ. ᲔᲪᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲔᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲛᲐᲗᲔᲡ ᲫᲔ **ᲔᲪᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1979 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ

184 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ Თ. Ნ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲔᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ** ᲫᲔ **ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ..

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1979 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

185 დეპუტატ ნ. დ. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ნუგზარ დომენტის ძე **რუხაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

186 დეპუტატ რ. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი რამაზ ანატოლის ძე **გოგლიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

187 დეპუტატ რ. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი რამაზ ანატოლის ძე **გოგლიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

188 დეპუტატ მ. მ. ხანანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი მიხეილ მიხეილის ძე **ხანანაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

189 დეპუტატ ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

190 დეპუტატ ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ

191 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ზ. Გ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. ზურაბ გიორგის ძე **ახვლედიანი** შეყვანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

192 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება:**

გიორგი ბიქტორის ძე **გიორგბერიძეს** — ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

ნოდარ სიმონის ძე **ქუთათელაძეს** — ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

გიგლა სევერიანეს ძე **ჩიმაკაძეს** — ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1979 წლის 4 ივნისი.

193 რესპუბლიკის მანქანათმშენებელი საწარმოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მანქანათმშენებლობის განვითარების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საპატიო წოდება:**

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის

გარეგინ გიორგის ძე **ავეტიკოვს** — სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

ნუგზარ გიორგის ძე **ბერიშვილს** — საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორს

იური ნიკოლოზის ძე **სობოლევს** — თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ყოფილ დირექტორის მოადგილეს წარმოების დარგში, პენსიონერს.

გიორგი ილარიონის ძე **ძიძიგურს** — თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების **სატელეგრაფო** ტექნიკის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს **მთავარ ინჟინერს.**

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის

ნორა იორდანეს ასულ **ბიჩელაშვილს** — ქარხანა „თბილელექტროიზოლიტის“ მიკანიტების მწებავს.

ნიკოლოზ ათანასეს ძე **გოლობორდკოს** — დიმიტროვის სახელობის ქარხნის საამქროს უფროსს.

ალექსანდრე იაკობის ძე **კილკინევს** — თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების სატელეგრაფო ტექნიკის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს სამაკეტო სახელოსნოს ოსტატს.

ვასილ ვლადიმერის ძე **ქუთათელაძეს** — სახეხი ჩარხების ქარხნის დირექტორის მოადგილეს.

გურამ შალვას ძე **ჩადუნელს** — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირს.

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის

შიმან ტეველის ძე **ფრენკელს** — სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 6 ივნისი.

194 რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭოთ **საპატიო წოდება:**

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის

გიორგი ტროფიმეს ძე **გოგოლაძეს** — რუსთავის ქიმიური ქარხნის დირექტორს.

ბეჟან ისაკის ძე **გოგუაძეს** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მთავარ ინჟინერს.

ელეონორა აღასის ასულ **გრიგორიანს** — რუსთავის ქიმიური ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ამირან იასონის ძე **გუბაევს** — რუსთავის ქიმიური ქარხნის ამიაკის წარმოების უფროსს.

გიორგი ზაქარიას ძე **კალაშევს** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პროდუქციის ხარისხის მართვის განყოფილების უფროსს.

გივი მელიტონის ძე **კიკნაძეს** — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ მაღაროთსამმართველო „ქუთბარიტის“ საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს.

პარმენ სამსონის ძე **მეტრეველს** — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ ტექნიკური განყოფილების უფროსს.

გივი მელიტონის ძე **ობოლაძეს** — რუსთავის ქიმიური ქარხნის სტანდარტიზაციის განყოფილების უფროსს.

ვადიმ ბორისის ძე **პრონინს** — რუსთავის ქიმიური ქარხნის ამიაკის წარმოების უფროსის მოადგილეს.

ავთანდილ ალექსანდრეს ძე **საღარეიშვილს** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის დირექტორის მოადგილეს.

ნოდარ გიორგის ძე **სიხარულიძეს** — სამთო-ქიმიური ნედლეულის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგეს.

გივი იასონის ძე **ქებაძეს** — რუსთავის ქიმიური ქარხნის № 2 სინთეზის საამქროს უფროსს.

ნიკოლოზ შიოს ძე **ცხაკაიას** — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ დირექტორს.

ნიაზ ნიკოლოზის ძე **ხოფერიას** — ქიმიურ მრეწველობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრის თბილისის ფილიალის დირექტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის

სოკრატ სერგის ძე **საბანაძეს** — რუსთავის ქიმიური ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის

ასლან სანდროს ძე **თიბილოვს** — რუსთავის ქიმიური ქარხნის მეაპარატეს.

თინა მელიტონის ასულ **სახვაძეს** — საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის" სათავო ქარხნის მუშას.

ლეონიდ არკადის ძე **ტიტიუნიკს** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის განყოფილების უფროსს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 6 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

195 ამხ. ო. გ. კაკაურიძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის გეგმის კრებსითი განყოფილების გამგეს ამხ. ოთარ გრიგოლის ძე **კაკაურიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 7 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

196 ამხ. ი. პ. ჩიქოვანისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

იუსტიციის ორგანოებსა და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და რესპუბლიკის კანონმდებლობის კოდიფიკაციის საქ-

ძეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგის მოადგილეს ამხ. ირაკლი პორფილეს ძე ჩიქოვანს მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

197 ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაარსების მე-80 წლისთავთან დაკავშირებით, **ქ. წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 4 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

198 რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური მონაწილეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

მერი ვლადიმერის ასული **აბესაძე** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის გრეხისა და გაჭიმვის ოპერატორი.

მადლენა იოსების ასული **ასიტაშვილი** — ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო-მასობრივი მუშაობისა და ხელფასის **განყოფილების გამგე.**

ფიდო შიოს ძე **ბოლგაშვილი** — რუსთავის ქიმიური ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს ხარატი.

დიმიტრი მიხეილის ძე **ბუტორინი** — რუსთავის ქიმიური ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილე.

გოგონა მიხეილის ასული **გაგუა** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მგრეხელი.

ხაჩატურ არშაკის ძე **გუკასოვი** — რუსთავის ქიმიური ქარხნის დირექტორის მოადგილე.

ანზორ ვასილის ძე **ენუქიძე** — რუსთავის ქიმიური ქარხნის უფროსი მეაპარატე.

ნიკოლოზ დავითის ძე **ისლანიდი** — რუსთავის ქიმიური ქარხნის საამქროს მემანქანე.

ჯუმბერ დიმიტრის ძე **ლაბაძე** — რუსთავის ქიმიური ქარხნის ხამი ლაქტამის საამქროს მეაპარატე.

ნაზიკო დავითის ასული **მაისურაძე** — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკის მეაპარატე.

ვიქტორ მოსეს ძე **მახარაძე** — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ მახარაძის მაღაროთსამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.

ეთერ მაქსიმეს ასული **მახარობლიძე** — ქუთაისის რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის მუშა.

ნელი ვლადიმერის ასული **მელოშვილი** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის გრეხისა და გაჭიმვის ოპერატორი.

ვლადიმერ გრიგოლის ძე **პონომარიოვი** — რუსთავის ქიმიური ქარხნის ელექტროშემდუღებელთა ბრიგადირი.

ტატიანა იაკობის ასული **უაბინა** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის გრეხისა და გაჭიმვის ოპერატორი.

ალექსი დურსუნის ძე **რევაზიშვილი** — რუსთავის ქიმიური ქარხნის კულტურის სახლის დირექტორი.

სეით ალექსანდრეს ძე **ტაბატაძე** — რუსთავის ქიმიური ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

თეიმურაზ მაკარის ძე **ქილიფთარი** — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ მახარაძის მაღაროთსამმართველოს დირექტორი.

ელისო დიმიტრის ასული **ჩიქოვანი** — რუსთავის ქიმიური ქარხნის საამქროს უფროსი.

გურამ დავითის ძე **ხაჩიძე** — რუსთავის ქიმიური ქარხნის კომპრესიის საამქროს ზეინკალი.

დუნია სიმონის ასული **ხუბაღვა** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის გრეხის ოპერატორი.

სოფიო ნიკოლოზის ასული **ჯაბანაშვილი** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის გადამხვევი.

ომარ ინდიკოს ძე **ჯაფარიძე** — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

199 ამხ. ვ. ვ. გვაზავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო და საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის განყოფილების უფროსი ამხ. ვლადიმერ ვასილის ძე **გვაზავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი..

თბილისი, 1979 წლის 7 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

200 ამხ. გ. ვ. მინდელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ვალერიანის ძე **მინდელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1979 წლის 7 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

201 ამხ. შ. ი. წულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ენერგეტიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ამხ. შალვა იოსების ძე **წულაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ობილისი, 1979 წლის 7 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

202 ამხ. მ. ი. ბერძენიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე მერაბ ისიდორეს ძე **ბერძენიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ობილისი, 1979 წლის 8 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

203 ამხ. კ. მ. ჯემუხაძის საქათველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბახის სახელობის ლენინის ორდენოსანი ბიოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კონსტანტინე მელიტონის ძე ჯემუხაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 8 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

204 ამხ. ბ. კ. ბალავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ბენედიქტე კონსტანტინეს ძე **ბალავაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

205 ამხ. გ. ა. კულჯანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გიორგი ალექსანდრეს ძე **კულჯანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 22 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

206 **ამხ. გ. შ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ამხ. გივი შიოს ძე **ორჯონიკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 22 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

207 **ამხ. დ. ა. სარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „საქჩაის“ ჩაის ფაბრიკების წყალტუბოს სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების ვენერალური დირექტორი ამხ. დავით არსენის ძე **სარიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 22 ივნისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1979 წლის 14 ივნისის სხდომაზე მოისმინა სამტრედიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ლ. ჩხეიძის ანგარიში მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესაბამისად მშრომელთა წერილებზე სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ. აღნიშნა, რომ სამტრედიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა გარკვეული მუშაობა გასწია მშრომელთა წინადადებების, წერილების, განცხადებების, საჩივრების აღრიცხვისა და მათში აღძრული საკითხების განხილვა-გადაწყვეტის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის,

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების, მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ პასუხობს ამ საკითხზე პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებული დადგენილებების მოთხოვნებს.

შეინიშნება მშრომელთა განცხადებების, წერილებისა და საჩივრების მიმართ უსულგულო, ფორმალური დამოკიდებულების ცალკეული ფაქტები. ზოგიერთი ხელმძღვანელი და თანამდებობის პირი გაუმართლებლად აყოვნებს ან თავს არიდებს მათში აღძრული საკითხების გადაწყვეტას და პასუხის გაცემას, რაც იწვევს განმეორებითი განცხადებების და საჩივრების გაგზავნას ზემდგომ ორგანოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სამტრედიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს:

— დასახოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად; განუხრელად იხელმძღვანელოს მშრომელთა წერილებზე მუშაობის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული მითითებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 24 აპრილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 29 მარტისა და 21 მაისის დადგენილებებით;

— აამაღლოს მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობაში სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების აპარატის მუშაკთა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა, აგრეთვე დეპუტატების და მუდმივი კომისიების როლი ამ საქმეში; მკაცრი პასუხი მოსთხოვოს ყველა იმ პირს, რომლებმაც უყურადღებობა და დაუდევრობა გამოიჩინეს განცხადება-საჩივრებში დაყენებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტისას;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების ზუსტ აღრიცხვას და საქმის წარმოების ხარისხს, მათი კანონით დადგენილ ვადებში განხილვასა და სწორ გადაწყვეტას; არ დაუშვას მშრომელთა წინადადებებსა და განცხადებებზე პასუხების გაჭიანურებისა და მათი რეგირების გარეშე დატოვების ფაქტები;

— მეტი პასუხისმგებლობითა და პრინციპულობით მოეკიდოს მშრომელთა საჭიროებებს და თხოვნას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს განმეორებით და კოლექტიურ წერილებს და ზემდგომ ორგანოებში გაგზავნილ განცხადება-საჩივრებს; გულდასმით შეისწავლოს გამომწვევი მიზეზები და მიიღოს ქმედითი ზომები მათ აღმოსაფხვრელად;

— რაისაბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე ღრმად გააანალიზოს მშრომელთა წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობა; დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ; მკაცრი ზედამხედველობა დააწესოს განხილული საკითხების გამო მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

— გააძლიეროს კონტროლი ამომრჩეველთა განაწესების შესრულებასა და მოსახლეობის თხოვნასა და საჩივრებთან დაკავშირებით დეპუტატთა წინადადებების რეალიზაციისადმი;

— უზრუნველყოს რაიონის მოსახლეობის დროული ინფორმირება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე;

— ფართოდ გაშალოს მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა და პროფილაქტიკური მუშაობა დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

* *
*

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საინფორმაციო-მეთოდური მუშაობის შემდგომი სრულყოფის თაობაზე ზემდგომი ორგანოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საჭიროა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის, პასუხისმგებლობის და ინიციატივის შემდგომი ამაღლება ადგილებზე პარტიის პოლიტიკის გატარებაში, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა სფეროსადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება, მშრომელთა ფართო მასების მიზიდვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ყველა რგოლის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მუდმივი კომისიების, დეპუტატების, მოსახლეობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბჭოთა აქტივისადმი ქმედითი მეთოდური დახმარების უზრუნველსაყოფად და მათი მუშაობის ფორმების, სტილის და მეთოდების შემდგომი სრულყოფის მიზნით საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ, პრეზიდიუმის სხვა განყოფილებებთან ერთად:

— სისტემატურად შეისწავლოს, გააანალიზოს და განაზოგადოს საბჭოთა მუშაობის გამოცდილება რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყველა რგოლში; მოამზადოს მეთოდური რეკომენდაციები საბჭოთა მუშაობის დადებითი გამოცდილების, სასარგებლო წამოწყებათა და თაოსნობათა პროპაგანდის, გავრცელებისა და დანერგვისათვის, მკვეთრად გააძლიეროს მეთოდური დახმარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი მუდმივი კომისიების, დეპუტატების თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბჭოთა აქტივის საქმიანობის ფორმის, სტილის და მეთოდების სრულყოფისათვის;

— იქონიოს კონტაქტები სათანადო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, ფართოდ მიიზიდოს მეცნიერები საბჭოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ამოცანათა გადასაწყვეტად;

— კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლების და მათი ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფის მიზნით მოაწესრიგოს საბჭოთა აქტივის დიფერენცირებული სწავლება, უზრუნველყოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან არსებული საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლების მუშაობის გაუმჯობესება, მოაწყოს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სემინარები, დათვალიერება-კონკურსები, გამოფენები და სხვა ორგანიზაციულ-მასობრივი ღონისძიებანი;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობამ და განყოფილებებმა გააძლიერონ კონტროლი პრეზიდიუმის დადგენილებათა შესრულებისადმი, უზრუნველყონ აუცილებელი ინფორმაციის ოპერატულად მიღება;

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელონ საინფორმაციო და მეთოდური მუშაობის მოსაწესრიგებლად; გააძლიერონ მეთოდური დახმარე-

ბა ქვემდგომი საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატების, მოსახლეობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აქტივის საქმიანობისადმი; სისტემატურად იზრუნონ მოწინავე გამოცდილების, მუშაობის ახალი ფორმების დანერგვისათვის, სტილისა და მეთოდების, ყოველდღიური საქმიანობის სრულყოფისათვის, მიაღწიონ დეპუტატის ოთახების (საბჭოთა მუშაობის კაბინეტების) თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ორგანიზაციას.

*
* *

სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხი რესპუბლიკურ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის გაშუქების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნა, რომ გაზეთებში გამოქვეყნებულ, ტელევიზიით და რადიოთი გადაცემულ ბევრ მასალაში დამაჯერებლად და ნათლად არის ნაჩვენები ბოლო დროს საბჭოების გაზრდილი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, მათი გავლენის გაძლიერება სახალხო-სამეურნეო მშენებლობაზე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურულ მომსახურებაზე, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაზე.

სათანადო ყურადღება ეთმობა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში საბჭოების ადგილს, როგორც მშრომელთა ფართო მასებისათვის სახელმწიფო მმართველობის სკოლას, საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების და ფორმების სრულყოფის საკითხებს და სხვ.

ამასთან ერთად რესპუბლიკური გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის მუშაობა საბჭოთა მშენებლობის საკითხების გასაშუქებლად სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა:

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს:

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესასრულებლად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და

კულტურულ-მასობრივი მუშაობის გამოცდილების გაშუქებას, ახალი ადამიანის, მებრძოლის, მშრომელის, ინტერნაციონალისტის ფორმირების შესახებ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მოთხოვნათა მათ მიერ შესრულებას;

— ფართოდ გააშუქონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად, ნათელი, დამაჯერებელი მაგალითებით უჩვენონ, თუ როგორ უწყობს ხელს საბჭოთა დემოკრატია ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურ პროგრესს, ასახონ საბჭოთა ორგანოების როლი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კაპიტალური მშენებლობის, მომსახურების სფეროს შემდგომ განვითარებაში, მათი ბრძოლა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოების მუშაობის გაშუქებას სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, მშრომელებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ფორმირებისათვის;

— ყოველმხრივ აამაღლონ დეპუტატის როლი და ავტორიტეტი საარჩევნო ოლქში; უჩვენონ, რომ დეპუტატი გადამწყვეტი ძალაა საბჭოებში, რომლის საქმიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაობის შემდგომი სრულყოფა; ქმედითი დახმარება გაუწიონ დეპუტატს მისი უფლებების და მოვალეობების განხორციელებაში; უჩვენონ საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების მუშაობა დეპუტატთა წინადადებების და შენიშვნების რეალიზაციისათვის.

პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკებს საბჭოების მიერ გაწეული ორგანიზატორული მუშაობის შესახებ; მისცენ რეკომენდაციები აქტუალური პრობლემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი არსებული ნაკლოვანებების გამოვლინებას, საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილების პროპაგანდას და გავრცელებას.

*
* *

სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საკითხი „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ.

აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები უკანასკნელ წლებში თანამიმდევრულად იბრძვიან სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრების, დემოკრატიული საფუძვლების გაღრმავების, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ამაღლებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისათვის, მნიშვნელოვნად გადიდდა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალი, გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, თვალსაჩინო ძვრები მოხდა რესპუბლიკის საზო-

გადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამაღლდა მოსახლეობის განათლების და კულტურის დონე.

ამასთან იდეურ-აღმზრდელობით და კულტურულ-მასობრივ მუშაობაში, რომელსაც სახალხო დეპუტატთა საბჭოები ატარებენ მოსახლეობას შორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეინიშნება ნაკლოვანებები.

რიგ საბჭოებში არასრულყოფილია სესიების საჯაროობა, მასებთან კავშირი და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლი. მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები ჯერ კიდევ არასაკმარის გავლენას ახდენენ დისციპლინის განმტკიცებაზე, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, მშრომელთა საჭიროებისადმი ბიუროკრატიული და უსულგულო დამოკიდებულების აღმოფხვრაზე.

სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი საბჭო ნაკლებ ყურადღებას უთმობს სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმებში კულტურულ-აღმზრდელობითი ასპექტების გათვალისწინებას, სათანადოდ არ ზრუნავს კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოქალაქეთა პოლიტიკუბის მიერ გეგმა-ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და სხვა საკითხებზე.

* *
*

სხდომაზე იმსჯელეს აგრეთვე ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ორგანიზატორული მუშაობის შესახებ ქალაქის სამრეწველო ობიექტების მიერ გეგმა-ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და სხვა საკითხებზე.

ყველა საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი ქ. თბილისში სასმელი წყლის რაციონალურად გამოყენებისა და ჩამდინარე წყლებით მდინარე მტკვრის გაბინძურებისაგან დაცვის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ქ. თბილისის წყალმომარაგება; წყალსადენის სათავე ნაგებობათა ინტენსიფიკაციის და გრუნტის წყლების ხელოვნური გამდიდრების შედეგად ქალაქისათვის სასმელი წყლის მიწოდება დღე-ღამეში 162.000 კუბ. მეტრით გაიზარდა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ თბილისის ზოგიერთი წარმოება-ორგანიზაცია უყაირათოდ ხარჯავს სასმელ წყალს, არ იცავს წყლის ხარჯვის დამტკიცებულ

ლიმიტს, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ მათი ხელმძღვანელები სათანადო ზომებს არ იღებენ სასმელი წყლის შიდა ქსელისა და სანიტარიული კვანძების მოსაწესრიგებლად.

სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე მოსახლეობის მიერ სასმელი წყლის ხარჯვის საქმეშიც.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად მდ. მტკვარი კვლავ ბინძურდება ჩამდინარე ფეკალური და საწარმოო წყლებით.

ზოგიერთი გამწმენდი ნაგებობა არასწორი ექსპლუატაციის გამო გადატვირთულია, საჭიროებს მოვლას, შეკეთებას, ზოგი კი — რეკონსტრუქციასაც. ქალაქის და რაიონების სანეპიდსადგურების ლაბორატორიების მიერ ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგად დადგენილია, რომ წარმოება-დაწესებულებების გამწმენდი ნაგებობების მუშაობის ეფექტიანობა 20-50 პროცენტს არ აღემატება.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ. ენდელაძემ.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომამ განიხილა ქ. გორის და დუშეთის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა. აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, გორის საქალაქო და დუშეთის რაიონული საბჭოების აღმასკომები და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ადგილობრივი სამმართველოები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის V პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გარკვეულ მუშაობას ეწევიან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და კადრებით დაკომპლექტებისათვის.

ქ. გორის და დუშეთის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებმა შეასრულეს 1978 წლის და 1979 წლის ხუთი თვის გეგმები. ქ. გორში დაინერგა მომსახურების ახალი სახეობები; გაიზარდა მომსახურების მოცულობის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე, რამაც შეადგინა 23,26 მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22,45 მანეთისა.

მიუხედავად ამისა, ქ. გორისა და დუშეთის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი ობიექტის მუშაობა ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც დასახულია სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მიერ.

ჯერ კიდევ ნელი ტემპით ვითარდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი. რიგი ობიექტები მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, რაც არ იძლევა ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვის საშუალებას, ეს კი უარყოფითად მოქმედებს გეგმების შესრულებაზე, პროდუქციის ხარისხზე, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ნაწილი, როგორც ქ. გორში, ასევე დუშეთის რაიონში არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ტექნიკური საშუალებებით, გათბობით, ცხელი წყლით; არადამაკმაყოფილებელია ობიექტების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. შეფერხებებია საჭირო მასალებით მომარაგებაში.

სერიოზული ნაკლოვანებებია საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეში.

მუდმივი კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ა. აზიროვმა.

*

* *

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. მ. სირაძე.